



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 45

ქ. გარდაბანი

30/03/2022

45-06-4-202203301934



ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისში მცხოვრები გელა ბეგიაშვილისთვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 16 მარტის N18-182207519 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 6089.50 (ექვსი ათას ოთხმოცდაცხრა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისში მცხოვრები გელა ბეგიაშვილისთვის (პ/ნ _____), (დიაგნოზი: _____)

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა, ქალაქ თბილისში, ჩაჩავას ქ. №1-ში მდებარე, შპს „ბოხუას სახელობის კარდიოვასკულარული ცენტრის“ ანგარიშზე. ს/ნ: 401945605

ანგარიშის № _____

ბანკი: თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

